მეტაკოგნიტური კულტურული ინტელექტის გავლენა მეწარმეობის ზრდაზე

ოლუვაიომი ომოიატო ოლოტა
Ph.D., ფინანსური დეპარტამენტი,
ბუღალტრული აღრიცხვის კოლეჯი, სამხრეთ
აფრიკის უნივერსიტეტი, olotaoluwayomi@gmail.com

საკვანძო სიტყვები: მეტაკოგნიტური კულტურული ინტელექტი; მეწარმეობის ზრდა; კოგნიტური მოქნილობა; კულტურული ემპათია; ადაპტირება
J.E.L. Classification: M2, Z1 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.04

ციტირებისთვის: Olota O., (2025) Effects of metacognitive cultural intelligence on entrepreneurial growth. Economic Profile, Vol. 20, 2(30), p. 45-61. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2025.30.04

ანოტაცია. *ნაშრომში გამოკვლეულია მეტაკოგნიტური კულტურული ინტელექტის გავლენა მეწარმეობის ზრდაზე, ილორინის უნივერსიტეტში შერჩეულ და რეგისტრირებულ სტუდენტურ საწარმოებში. კონკრეტულად, შესწავლილია კოგნიტური მოქნილობის, კულტურული ემპათიისა და ადაპტირების გავლენა მეწარმეობის ზრდაზე. სტრუქტურირებული კითხვარი შეავსო 149 პირმა. შეგროვებული მონაცემები გაანალიზდა PLS-SEM-ის გამოყენებით.*

გამოვლინდა, რომ კულტურულ ემპათიას ყველაზე ძლიერი გავლენა აქვს მეწარმეობის ზრდაზე ($\beta = 0.336$, $t = 3.464$, $p < 0.001$), შემდეგ მოდის კოგნიტური მოქნილობა ($\beta = 0.292$, $t = 2.997$, $p < 0.003$) და ადაპტირება ($\beta = 0.256$, $t = 2.600$, $p = 0.010$).

კვლევამ გვიჩვენა, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა უნდა განახორციელონ ტრენინგები კულტურათაშორისი ინტეგრაციის საფუძველზე, კულტურული თანაგრძნობის განვითარების მიზნით, რაც გაზრდის ბიზნესის განვითარების პოტენციალს. მთავრობას და სხვა პოლიტიკის შემქმნელებს შეუძლიათ წარმოადგინონ კონკრეტული პროგრამები, რომლებიც განავითარებს მეტაკოგნიტურ კულტურულ კომპეტენციებს ახალგაზრდა საწარმოების დამფუძნებლებში, ახალგაზრდების უმუშევრობასთან საბრძოლველად და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშესაწყობად.

განვითარებად ეკონომიკაში სტუდენტური მეწარმეობა ნაკლებად არის შესწავლილი მეტაკოგნიტური კულტურული ინტელექტის განზომილებებთან მიმართებით, რაც ამ კვლევაში ავსებს მნიშვნელოვან ხარვეზს სტუდენტურ მეწარმეობასა და კულტურულ კომპეტენციას შორის.